სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 31 მარტის N77 ხელშეკრულების

შეთანხმების აქტი #1

ქ. სამტრედია 22 მაისი 2020 წელი

წინამდებარე შეთანხმების აქტი დაიდო ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა (ს/კ 238769025), წარმოდგენილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ვალერიანე ფოცხვერიას სახით, (შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ შპს ,,ლატექსი“ (წარმოდგენილი დირექტორის მანანა ტაბიძის სახით, ს/კ-238746675) შორის, (შემდგომში ,,მიმწოდებელი”).

შეთანხმების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის 2020 წლის 20 მაისის ოქმი N3.

შეთანხმების საგანი:

"ელ. ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-36 მუხლით გათვალისწინებული უფლებებითა და სამუშაოთა უწყვეტად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, შეტანილი იქნას ცვლილება 2020 წლის 31 მარტის N77 სატენდერო ხელშეკრულებაში NAT200005133. კერძოდ, სამუშაოს ვადის გადაწევა მოხდეს საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად, 40 კალენდარული დღით (31 მარტიდან 11 მაისამდე არსებული დროით) და სამუშაოს დასრულების ვადად განესაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი, ვინაიდან საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (covid -19) გავრცელების აღკვეთის მიზნთ, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით, სამშენებლო სამუშაოები შეჩერდა 2020 წლის 23 მარტიდან, ხოლო 2020 წლის 08 მაისის N297 დადგენილებით სამშენებლო სამუშაოები განახლდა 2020 წლის 11 მაისიდან.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 31 მარტის #77 სატენდერო ხელშეკრულების სხვა ყველა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

შეთანხმების აქტი ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

samtredia municipality Digitally signed by samtredia municipality Date: 2020.05.22 11:14:10 +04'00'

სამტრედიის მუნიციპალიტეტის **შპს ,,ლატექსი“**

მერი: ვალერიანე ფოცხვერია **დირექტორი: მანანა ტაბიძე**

Manana Tabidze Digitally signed by Manana Tabidze Date: 2020.05.22 15:53:39 +04'00'

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო კომისიის სხდომა

ოქმი №3

ქ. სამტრედია 18 მაისი 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალერიანე ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;
2. დავით ბაღდავაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
3. ნიკოლოზ სანაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
4. ზურაბ გოგია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
5. ოთარ თევზაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებში - კომისიის წევრი;
6. ლაშა ორმოცაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
7. ბეჟან გეგეშიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - კომისიის აპარატის წევრი;
8. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის აპარატის წევრი;
9. ირინა ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა: მედეა ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 02 მარტს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნომერი NAT200005133) მიმდინარეობის განხილვა.

განხილვა:

სატენდერო კომისიის წევრმა ზურაბ გოგიამ მოახსენა სატენდერო კომისიას, რომ შ.პ.ს. ,,ლატექსი" 2020 წლის 31 მარტის N77 ხელშეკრულების შესაბამისად ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოებს.

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID -19) გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო შ.პ.ს. ,,ლატექსი" ვერ ახორციელებს სამუშაოებს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.

,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით, სამშენებლო სამუშაოები შეჩერებული 2020 წლის 23 მარტიდან, ხოლო „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 08 მაისის №297 დადგენილებით სამშენებლო სამუშაოები განახლდა 2020 წლის 11 მაისიდან.

ზურაბ გოგიამ განმარტა, რომ საკითხი შესწავლილია ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტების მიერ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ შ.პ.ს. ,,ლატექსის" სამუშაოს დასრულების ვადის გადაწევა მოხდეს საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ 2020 წლის 31 მარტიდან - 11 მაისამდე არსებული დროით.

კომისიის წევრებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება შ.პ.ს. ,,ლატექსის" სამუშაოს ვადის გადაწევა მოხდეს საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად, 40 კალენდარული დღით (31 მარტიდან - 11 მაისამდე არსებული დროით) და სამუშაოს დასრულების ვადად განესაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

კომისიამ დაადგინა:

1. შ.პ.ს. ,,ლატექსს" სამუშაოს დასრულების ვადა გადაეწიოს 40 კალენდარული დღით (31 მარტიდან - 11 მაისამდე არსებული დროით) და სამუშაოს დასრულების ვადად განესაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

2. დაევალოს კომისიის აპარატის წევრს, ირინა ფოცხვერიას, მოამზადოს შესაბამისი შეთანხმების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: ვალერიანე ფოცხვერია

კომისიის წევრები: ზურაბ გოგია

დავით ბაღდავაძე

ნიკოლოზ სანაძე

ლაშა ორმოცაძე

ოთარ თევზაძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ბეჟან გეგეშიძე

ია ხოშტარია

ირინა ფოცხვერია

samtredia municipality

Digitally signed by samtredia municipality
Date: 2020.05.22 11:11:18 +04'00'